

სამშობლოში დაბრუნებული სპეციალისტები ► საქართველო

სუფთა წყადი ბათუმისათვის

საქართველოში, ქალაქ ბათუმში 20 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში არ არსებობდა წყლის გამწმენდი ნაგებობა, რაც დიდ საფრთხეს უქმნიდა როგორც ადამიანთა ჯანმრთელობას, ასევე გარესამყაროსა და ქალაქის მრეწველობას. დღეს ბათუმს აქვს ჩამდინარე წყლების თანამედროვე გამწმენდი ნაგებობა. მას ხელმძღვანელობს მარინე გვიანიძე. მის მიერ დღემდე გავლილი პროფესიული განვითარების გზაზე ქალბატონ გვიანიძეს მხარში ედგა და ხელს უწყობდა საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრი (CIM).



ფოტო მარტენიგ ბაურ მარგივეისა

მარინე გვიანიძე სიამოვნებით მიირთმევს თევზს, მაგრამ საკვების ეს სახეობა წარსულში ძალიან იშვიათად ხვდებოდა მის მენიუში. 32 წლის მარინეს კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული, რომ ზღვის ის ბინადარი, რომელთაც მეთევზეები მის მშობლიური ქალაქ ბათუმის გარშემო წყლებში იჭედნენ, ეკოლოგიური სისუფთავით არ გამოირჩეოდა. 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ზღვაში გაუფიქრავად ჩაედინებოდა ქალაქის კანალიზაციის ჩამდინარე წყლები, ქალაქისა, რომელიც დღეს 180.000 მოსახლეს ითვლის. ეს გარემოება კიდევ უფრო ფატალურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი დიდნიდად ტურიზმზეა დამოკიდებული.

დღეს ახადგამრდა ქალბატონს კვლავ შეუძლია სიამოვნებით მიირთვას ადგილობრივი თევზი, რაც იმიტომაც განპირობებულია, რომ 2012 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ბათუმის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ახალი ნაგებობა. აქედან მოყოლებული, წყლის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ამას ადასტურებს რეგულარული ანალიზებიც, რომელთაც აჭარის გარემოს დაცვის დეპარტამენტი ევროკავშირის მიერ დადგენილი ნორმების დაცვის მიზნით ახორციელებს.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე ბათუმში აშენდა იმ დროისათვის თანამედროვე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა. მაგრამ, ედუქტორენერგიის ნაკლებობის გამო 1990-იანი წლების დასაწყისში მისი მუშაობა შეჩერდა და განხორციელდა მოწყობილობათა დემონტაჟი. ამავე პერიოდში გაემგზავრა 8 წლის მარინე პირველად თავის ოჯახთან ერთად გერმანიაში, კერძოდ ბრანდენბურგში. იქ ქართულმა ოჯახმა მოინახულა მეგობრები და

იზიმა პირველი გერმანული საშობაო დღესასწაული. საქართველოში დაბრუნებისთანავე მარინემ დაიწყო გერმანული ენის სწავლა სკოლაში და კერძო მასწავლებელთან. უნივერსიტეტში ბიოლოგიის შესწავლის შემდეგ იგი გაემგზავრა შტუტგარტში, როგორც AU-Pair (ბავშვის მომვლელი) და მოგვიანებით ჩაეწერა ნიურტინგენ-გაისლინგენის ეკონომიკისა და გარემოს უმაღლესი სასწავლებლის გარემოს დაცვის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე.

კარიერის დასაწყისი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ

თავისი სადიპლომო ნამუშევარი გვიანიძემ მისი სამშობლოს წყლების ხარისხის გამოკვლევას მიუძღვნა. „ჩემში აღმოვაჩინე წყლების დიდი სიყვარული და ბოლოს, უცხოეთში და სიშორეში ჩემი სამშობლოს სიყვარული“, ამბობს ქართველი ქალბატონი. იმ პერიოდში, როცა მარინე გერმანიაში სწავლის ბოლო ეტაპზე იყო, გერმანიის განვითარების ბანკმა (KfW) ბათუმში სასწრაფოდ დაიწყო წყლისა და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის პროექტზე მუშაობა. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის არარსებობა ერთადერთ პრობლემას არ წარმოადგენდა. 100 - წლიანი საკანალიზაციო ქსელი უკვე ძალზედ მოძველებული და დაზიანებული იყო. მისი ფუნქციონირება მხოლოდ შემლუდებულ იყო შესაძლებელი. ძლიერი წვიმების დროს წყალი ძალიან ნელა გაედინებოდა, ერეოდა საკანალიზაციო ჩამდინარე წყლებს და ტბორავდა ქუჩებსა და სარდაფებს. წვიმა დიდ პრობლემებს უქმნიდა სუფთა წყლით მომარაგების სისტემასაც. ქალაქისათვის სასმელი წყლის დიდი ნაწილის მომწოდებელი მდინარე ჩაქვი წვიმების დროს ხშირად ისე იყო დაბინძურებული, რომ საჭირო ხდებოდა სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტა.

დღეს მოსახლეობისათვის უკვე საგრძნობია გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგი. მცხოვრებთა 70%-ზე მეტს შეუძლია ისარგებლოს ჰიგიენურად სრულიად სუფთა სასმელი წყლის ოცდოთხსაათიანი მომარაგებით. გარდა ამისა, ტურისტებიც უფრო და უფრო დიდ ინტერესს იჩენენ „შავი ზღვის მარგალიტის“ მიმართ, რადგან ზღვაში ბანაობაც ჯანმრთელობისათვის საფრთხეს აღარ წარმოადგენს.

„გერმანიაში გამგზავრება ჩემი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ასევე სწორი იყო საქართველოში დაბრუნებაც“, განაცხადა გვიანიძემ. სამშობლოში დაბრუნების სურვილის მყარი რწმენითა და დიდი გაურკვევლობის გრძნობით, ნახავდა თუ არა იქ მისი კვალიფიკაციის შესატყვის სამსახურს, ახადგაზრდა ინჟინერი ჯერ კიდევ საქართველოში დაბრუნებამდე



დაბრუნება საქართველოში: მარინე გვიანიძე

დაუკავშირდა საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრს (CIM). CIM-ი ხელს უწყობს და შუამდგომლობას უწევს სამშობლოში დაბრუნებულ სპეციალისტებს. მათი დახმარებით მიაღწია გვიანიძემ თავის პირველ დანიშვნას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში. „იქ მე შესაძლებლობა მომეცა, შემეძინა ჩემი პირველი პროფესიული გამოცდილება. მაგრამ, მე ძალიან მაღე შევამჩნიე, რომ რაღაც ძალიან კომპიუტერისა და ქაღალდების-გან შორს, წყლისაკენ მეზიდებოდა“, განაცხადა გვიანიძემ.

ტექნოლოგიების გერმანიაში შეძენილი ცოდნა

საქართველოში დაბრუნებულ მარინეს მშობლიური ქაღალტის სტუმრობისას, ბუნებრივია, შეუმჩნეველი არ დარჩენია საქართველოსა და

გერმანული მხარის ურთიერთთანამშრომლობა ქვეყნის განვითარების კუთხით. სულ მაღე მან დაიწყო KfW –ს პროექტისათვის თარჯიმნად მუშაობა. პროექტის მენეჯერებისთვის ძალიან მაღე გახდა ცხადი, რომ გერმანიაში მიღებული განათლების მქონე ინჟინერი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ხელმძღვანელის პოზიციისათვის შესანიშნავი კანდიდატურა იყო. „ბათუმის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა ყველაზე თანამედროვეა მთელი კავკასიის ფარგლებში. ამ გამწმენდი ნაგებობის სახელმძღვანელოდ საჭირო ტექნიკური ცოდნის მქონე პიროვნების მოძებნა მთელს საქართველოში ვერ მოხერხდა“, განაცხადა მათიას ჰიტცელმა, თავდაც ამ პროექტის თანამშრომელმა. მისი სიტყვების თანახმად, „კარგად მომზადებული სპეციალისტების ნაკლებობა საქართველოში ისევ და ისევ დიდი პრობლემების წინაშე გვაყენებს“.

მიუხედავად ამისა, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ხელმძღვანელად გვიანიძის დანიშვნისათვის მრავალი წინააღმდეგობების დაძლევა იყო საჭირო. „ახადგაზრდა ინჟინერი ქალი და თანაც ხელმძღვანელ პოზიციაზე – ეს საქართველოში არც თუ ისე ხშირია“, განაცხადა ჰიტცელმა. თავისი სპეციალობის კარგი ცოდნისა და ძლიერი პიროვნული ხასიათის წყალობით 32 წლის ახადგაზრდა მანაც მოახერხა მამაკაცი კოლეგების დარწმუნება.

ყველა ძნელად გადასაღები დაბრკოლებების მიუხედავად, „მე აქ ჩემი საოცნებო სამსახური ვიპოვე“, განაცხადა გვიანიძემ. იგი გულახდილად აღიარებს, რომ „CIM-ისა და საქართველოში მათი კონსულტანტის მხარდაჭერის გარეშე ჩემი ოცნება, მემუშავა გარემოს დაცვის სფეროში, აღბათ, არასოდეს განხორციელდებოდა“. გვიანიძე თავს ბედნიერად თვლის იმიტომაც, რომ საქართველოში ბევრია დაბრუნებული სპეციალისტი, რომლებიც საზღვარგარეთ ხანგრძლივი სწავლის შემდეგ მათი კვალიფიკაციის შესატყვის სამსახურს ვერ პოულობენ და შესაძლებლობების განვითარების შანსი არ ეძლევათ.

გვიანიძეს არა მარტო თავისი კარიერის, არამედ აგრეთვე საქართველოს განვითარებისათვისაც კონკრეტული მიზნები აქვს დასახული: „ჩემი საქმიანობით მინდა დავამტკიცო, რომ საქართველოში შესაძლებელია ევროკავშირის სტანდარტების დანერგვა გარემოს დაცვის სფეროში და რომ ჩვენი ქვეყნის ქალებსაც რაღაც შეუძლიათ“.

საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრი (CIM) წარმოადგენს შრომითი მოზიდულობის კომპეტენციის ცენტრს გერმანიის ხელისუფლების საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში და ხელს უწყობს მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელ გლობალურ მიგრაციას.

CIM-ი, როგორც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) შპს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროფესიული და უცხოეთში დასაქმების სააგენტოს (BA) (ZAV) ერთობლივად შექმნილი ორგანიზაცია, ფლობს განვითარების, შრომის და დასაქმების პოლიტიკის 30-წლიანი ექსპერტიზის გამოცდილებას.

გლობალური პროგრამის „მიგრაცია განვითარებისათვის“ საფუძველზე CIM-ი სამშობლოში დაბრუნებული სპეციალისტებისათვის შექმნილი შეთავაზებით ხელს უწყობს გერმანიაში განათლებამიღებული და გადამზადებული კადრებს განვითარებადი და გარდამავად საფეხურზე მყოფი ქვეყნებიდან საკუთარი სურვილით დაბრუნდნენ მშობლიურ ქვეყანაში, რათა თავიანთი ცოდნით წვლილი შეიტანონ ქვეყნის სასიკეთო განვითარებაში.

დამატებითი ინფორმაცია

> www.cimonline.de